# სახალხო გაზეთი

№ 176 კვირა, 5 დეკემბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 176

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—მის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის „სახალხო გაზეთზე“


ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
### სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
### სურათებიანი დამატება
გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ-რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მილებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.


ელენე დავითის ასული მჭედლიშვილისა, შაქარა იოსების ძე მჭედლიშვილი, და ივანე ალექსის ძე ივანაშვილი ბიძა ივანე მაქსიმეს ძე მჭედლიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, პირველი ძვირფასის მეუღლის, მეორე ძმის და მესამე დაუვიწყარ ნათლი-მამის

### ბექან იოსების ძის მჭედლიშვილისას.

გამოსვენება კვირას, 5 დეკემბერს, საკუთარ ბინიდან, ფრეილნის ქ., № 5, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლესია'ში, პანაშვიდი შაბათს, 4 დეკემბერს საღამოს 6 საათზე. (2—2)

კვირას, 5 დეკემბერს, ნაძალადევ'ში, ივერიის მღვთის-მშობლის ეკლესიაში, წირვის შემდეგ, გადახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

### იაგორ (გიორგი) სიმონის ძე გოგელიას

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ დედ-მამა სიმონ და ლისა, ძმები, კონსტანტინე, ილიკო, დომენტი და ისიდორე გოგელიები; დები—პელაკი, თებრონე და მარო; რძალი დროისი და სიძე მოსე წეროძე. (1—259—1)


## ტფილისის კერძო სამკურნალო
### გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

**ხობოლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—343)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. პაპოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½ 12½ საათ.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6,—506)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 32.

კვირას, 5 დეკემბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

### ურიელ აკოსტა

ტრაგედ. 5 მოქმედებად, გუტკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ჯავახიშვილი. მოთაძე; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, ალექსიძე, გ. გუნია, გვარამე, მდივანი, მამფორია, მატარაძე, ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ადმინისტრაცია: ქართ. დრ. საზოგადოება. (1—1)

### ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 5 დეკემბერს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ჩირგაძის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

### ქრისტინე

დრამა 4 მოქმედ. ირეთელისა.

მონაწ. მიიღ.: ქ-ნნი კავთელი, კობიევი, ციმაკურიძე, თარხანოვი, სიხარულიძე, თარხანოვი, სიხარულიძე, ჩირგაძე, ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, ინაშვილი, განიშვილი, მეტრეველი, თაზიშვილი, ზონელი, ხახანაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგეობა სთხოვს საზოგადოებას, სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. ბავშვების თეატრში შესვლა და ფარდის აწევის შემდეგ თეატრში შესვლა აკრძალულია.

ბილეთები იყიდება თეატრის გასაში დილის 12-დან 2-ის და 6-დან საღ. 8 ს.-მდე.

ადმინისტრატორი ჭიაბერაშვილი. (1—1) რეჟისორი შ. შარაშიძე.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ კვირეულ ჟურნალზე (გამოვა 12 დეკემბრიდან

### ცხოვრება და ხელოვნება

ფასი წლიურად 5 მ., ნახევარი წლით 2 მ. 50 კ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ ნაწილად, არა ნაკლებ ათი შაურისა. რედაქციამ მიმართა მწერლებს, მეცნიერთ და მხატვარ-ხელოვანთ თანამშრომლის მიღებისათვის. განყოფილებათა რედაქტორები: პუბლიცისტიკა—ფ. გოგიჩაიშვილი, სიტყვა-კაზმული მწერლობა—შ. არაგვისპირელი. ბელეტრისტიკა: სიტყვა-წყობილი მწერლობა—კ. მაყაშვილი. პოეზია: პედაგოგიკა ა. მდივანი. მხატვრობა და ქანდაკება—ნ. ნიკოლაძე. ისტორია—ს. კაკაბაძე. მედიცინა—გ. ლამბაშიძე, მუსიკა—ზ. ფალიაშვილ, დრამა—გ. შალიკაშვილი, სასცენო ხელოვნება—გ. მესხიშვილი, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია—ი. გართაგავ , ბუნების მეტყველება—ს. იაშვილი, ტექნოლოგია—ბ. მამრაძე, მიმოხილვა—გ. გუნია.

პირველ ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა „როსტომიანისა“ (ფირდოუს შაჰნამესი), პირველ-სავე ნომერში დაიბეჭდება ა. ყარამშვილის რომანსი.

რედაქცია ღია არის 10—3 საათამდე, ტფილისი, თავ.-აზნაურობის ქარვასლა, თეატრის გვერდზე.

ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე თეატრის გასაში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში; გოლოვინის პროსპექტზე ი. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში „ნოვაია“.

Адресъ: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства, рядомъ съ театромъ Редакція „Цховреба да Хеловнеба“.

ტელეფონი № 862. რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე

აუარებელ საქონლის მოგროვების გამო

### ა. ფ. უიაზდოვსკის

მაღაზიაში, ქალაქ. ღვითმმართველობის ქვეშ, 1 დეკემბრიდან თვის ბოლომდე იაფად იყიდება კაცისა, ქალისა და ბავშვის ფეხსამოსი 40% ლებით, საფაბრიკო ფასეზე ნაკლებ შეუვაჭრებლად. (1—261 1)

Adresse Télégraphique SANITAS

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами

Тифлисъ, Баку, Батумъ.

Адресъ Телеграммъ Санитасъ Тифлисъ

კავკასიის საზოგადოების ვაჭრობა საამფთიაქო საქონლისა.

ტფილისში, ბათუმში და ბაქოში.

### პარფუმერია

ს.-პეტერბურგის ქიმიურ ლაბორატორიისა

განსაკუთრებით ურჩევთ:

ოდეკალონს, ორფა და სამფა, ხელის საპონს, სურნელოვან წყალს, ველურის გლიცერინს, კრემს, მალამოებს, ბრინჯის პუდრს და სხვა საპირფარეშო საქონელს. (1—258—1)

### ბუნებრივი კახური ღვინოები

კარდენახის საუკეთესო ზვრებიდან

### ძმ. ხელაშვილებისა.

სარდაფი ნიკოლოზისა და ნეკრასოვის კუთხის სახლში NN 14 და 11.

სარდაფში ინახება გარდა ახალისა ძველი, 6—7 წლის, ღვინოებიც.

ბოთლი 25 კ.-დან 1 მანეთამდე.

(20—195—11) პატივისცემით—მოსე ხელაშვილი.

**ექიმი** ე. ი. მინასიანცი ხწამლობს შინაგან, საბავშვო და კუჭის ავადმყოფობას; პროფესორ მატშიუს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—28)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—30)

**ექიმი** ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ფილაროვის სახლი, (50—170—24)

**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. თ.—180—47

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
### მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—99)

**ექიმი** გ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

### ბაქოში
ვექილი
### მიხეილ ნასიძე
სცხოვრობს სპასკის ქუჩაზე, სახლის № 49. (10—3)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდ ის გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე, საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვის ქ. N 2.

გამოვიდა
სალიტერატურო და საოხუნჯო
### ალმანახი
### 6 0 6
ფასი 3 კ.
იყიდება „სორაპნის“ სტამბაში. (2—2)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—280

### ჩრდილოეთის ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება
(„Сѣверное страховое общество“)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ მთელ კავკასიაში ინსპექტორად ხსენებულ საზოგადოებისა დანიშნულია ქ. დ. მესხი, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, ვერის ღმართ. (2—260—1)


## ტფილისი, 5 დეკემბერი

**მონის ფსიხოლოგია.** ქართველი ხალხის პირ-ვარამზე ბევრი რამ დაწერილა. უფრო ხშირად ეხებიან ხოლმე ქართველ ხალხის ინტელიგენტურს ნაწილს. მართლაც, ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაში ქართველი ინტელიგენცია იმყოფება.. ხალხი, ამ სიტყვის განსაზღვრულ მნიშვნელობით, მიუხედავად მრავალ მხრივის გაჭირვებისა და სიდუხჭირისა, მაინც საკუთარის, დამოუკიდებელის ცხოვრებითა სცხოვრობს. ქართველი ხალხი ჯერ კიდევ სავსებით არ დასწაფებია საერთოდ ქართველთა გამანადგურებელ ცხოვრებას და ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკეთეს პირობებში ეჯირთებს გაისწორებს და ეროვნულ ცხოვრების აქტიური მონაწილე გახდება.

სულ სხვანაირ პირობებში იმყოფება ქართველი ინტელიგენცია. რუსულ ტრადიციებსა და რუსულ კულტურაზე აღზრდილი ინტელიგენცია, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ეროვნულ ცხოვრებისთვის სრულიად გამოუსადეგარი ხდება. იგი მოწყვეტილია სამშობლოს კულტურას, მას კავშირი აქვს კაწყვეტილი თავის ერის წარსულთან, რომელიც ძალიან ბუნდოვანად ესახება თვალ წინ და თავის თავს ორგანიულად დაკავშირებულად ვერა ჰგრძნობს ამ წარსულთან. ეს კერძო მოვლენა არ არის. ეს საზოგადო სენია და მისი აღმოფხვრა არც ისე ადვილია, როგორც ,შეიძლება პირველის შეხედვით ბევრს ეგონოს.

ასეთი მდგოიარეობა ჰბადებს დაავადებულ ფსიხიკას, რომელიც ნელნელა, მ.გრამ სისტემატიურად ჰშხამავს ჩვენს საზოგადოებრივს ატმოსფერას. ერთ ერთ შედეგად ამ დაავადებულ ფსიხიკისა უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ქართველ ინტელიგენციის დაკარგული აქვს იმედი თავის ძალ-ღონისა და სრულიად არაფრად მიაჩნია ყველა ის, რაც საქართველოში კეთდება თვით ქართველთავე შემწეობით. იგი იმსჭვალება მონურს პსიხოლოგიით რუსულ საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი, რუსულს კულტურისადმი. ამიტომაა, რომ იშვიათად შემთხვევებს გარდა, ქართველს ინტელიგენტს, ქართველ პსახიობთა თამაში ვერ აკმაყოფილებს; ამიტომაა, რომ ტფილისის ფუქსავატ რუსულ გაზეთებში იგი უფრო მეტს სიბრძნესა ჰპოულობს, ვიდრე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ამიტომაა, რომ ქართველი ინტელიგენცია ჩვენს წარსულშიაც ვერაფერს სანუგეშოს ვერა ჰხედავს: მაშინ, როდესაც ეს წარსული მდიდარია კულტურულ ცხოვრების ნიმუშებით. ქართველი ინტელიგენტი ძალიან ხშირად მედიდურად დასცქერის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარეობას და ჰგონია, რომ ამისთანა მედიდურობას რაიმე გასამართლებული საბუთი აქვს.

ასეთი ფსიხიკა, როგორც ზევითაცა ვსთქვით, ჰრყვნის ჩვენ საზოგადოებრივს ცხოვრებას, აღონებს მის ინტენსივობას და სრული დეზორგანიზაცია შეაქვს ჩვენს, ისედაც მოუწყობელ ცხოვრებაში. შეგნებული ნაწილი ქართველ ინტელიგენციისა ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ამ ანორმალურს მოვლენას, ვალდებულია ყოველნაირის საშუალებით მოკლას და აღმოფხვრას ეს საშინელი სენი. სამუდამოდ მისი აღმოფხვრა მხოლოდ დროს შეუძლიან და ისეთს პირობებს,

რომელნიც ხელს შეუწყობენ ქართულს საზოგადოებრივს ცხოვრების განთავისუფლებას რუსულ კულტურის მორალურ ზედ-გავლენისაგან; მაგრამ ეხლაც, სისტემატიური ბრძოლა ამ სენთან მეტად არ უნდა ჩაითვალოს.

**შავი ჭირი** „პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო" იუწყება, ბათომში ერთი შემთხვევა იყო შავი-ჭირით ავად გახდომისაო. შავი-ჭირი ოდესაში მძვინვარებდა, მაგრამ ენერგიული ზომები იქმნა მიღებული და ავადმყოფობაც მინელდა. თუ თავის დროზე ზომები იქმნა მიღებული, შავი-ჭირის გავრცელებას ადვილად შეგვიძლიან ბოლო მოვუღოთ. მეცნიერებას საკმაოდ კარგად აქვს გამორკვეული შავი-ჭირის თვისება, მის საწინააღმდეგო საშუალებანიც გამორკვეულია, ასე რომ შავი-ჭირი მაინცა და მაინც ძალიან საშიშ ავადმყოფობად არ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ გულხელ დაკრეფით ჯდომა მაინც შეუძლებელია. ქალაქის გამგეობამ ეხლავე ენერგიული ზომები უნდა მიიღოს, მოაწყოს სანიტარული რაზმები და საზოგადოდ მოემზადოს საშიშ სტუმრის დასახვედრად. შავი ჭირისთანა ავადმყოფობანი მხოლოდ მაშინ არ არის საშიში, როდესაც ზომები თავის დროზეა მიღებული. ბათუმში უკვე აღმოჩენილა შავი-ჭირი, ბათუმიდან ადვილად შესაძლებელია ტფილისშიაც გადმოვიდეს. როდესაც შავმა ჭირმა ოდესაში იჩინა თავი, ტფილისის ქალაქის გამგეობამ, თუ არა ვცდებით, საგანგებო კაცი გაგზავნა ოდესაში ავადმყოფობისა და მასთან ბრძოლის საშუალებათა გამოსარკვევად. კარგს იზამს ქალაქის გამგეობა, თუ თავის სანიტარულ მუშაობას განაახლებს და გააცნობს საზოგადოებას შავ-ჭირთან ბრძოლის საშუალებებს.

# სახელმწიფო სათათბირო

**თ. დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.** შემოსულ საქმეთა სიას კითხულობენ. მათ შორის 35 დეპუტატის შეკითხვას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი, უმაღლეს სასწავლებელთა მიმართ მიღებულ ძალმომრეობაზე და ამ ამბების გამო გაზეთებში წერვის აკრძალვის თაობაზე. ამ შეკითხვაზე პირველად გეგეჭკორს უწერია ხელი. 80 ხმით 77 წინააღმდეგ ამ შეკითხვის მაშურობის გადაწყვეტა დღის სხდომისათვის გადასდეს. მორიგ საკითხად სავაჭრო მაღაზიებში, საწყობებში და კანტორებში მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების კანონ-პროექტის მესამე მუხლია.

**პირველი მუხლი** ამბობს, ვაჭრობა დღე ღამეში მხოლოდ 12 საათს უნდა სწარმოებდესო, აქ ჩათვლილია ორი საათის დასვენებაც.

**პრედკალნი** სოც.-დემოკრატთა სახელით, **სტეპანოვი** და **შჩეპკინი** კადეტთა სახელით, **პეტროვი მესამე** შრომის ჯგუფის სახელით თხოულობენ, 8 საათით განისაზღვროს დღიური ვაჭრობა.

**კოვალენკო პირველი, სუშკოვი, ტიმოშკინი, ბარონი ტიზენგაუზენი** და **კრუდენერ-სტრუვე** აღნიშნავენ,—8 საათის სავაჭრო დღე არც ერთს ქვეყანაში არაა შემოღებული, ამისათვის პირველ მუხლისა და ორის საათის დასვენების გამოტოვებას თხოულობენ. ამ მუხლში არც ერთი შესწორება არ შეაქვთ და მეორედ წაკითხვის დროს შესწორებულ რედაქციით ღებულობენ.

**მეორე მუხლში** ნათქვამია, წელიწადში 40 დღეს ვაჭრობის დრო ორის საათით გადიდდესო, რისთვისაც მოსამსახურენი ალასთან მორიგებით ზედმეტს ფასს მიიღებენ. ამ მუხლსაც მეორედ წაკითხვის დროს შედგენილ რედაქციით ღებულობენ.

სათათბირო ღებულობს კანონ-პროექტს, რომლითაც 25 ათასი მანათი უნდა გადაიდოს ტერორისაგან დაზარალებულთა დამხმარე საზოგადოების სასარგებლოდ.

თავმჯდომარის ადგილს **გუჩკოვი იჭერს** მორიგ საკითხად წამოყენებულია კანონ-პროექტი გარდასახადთა მმართველობის სასარგებლოდ დამატებითი თანხად 2 მილიონი მანათი გადაიდოს, რათა არყის მხდელ სექარხნეებს დაურიგდეთ საექსპორტო ჯილდოდ. შარშანდელი თანხა არყის გამოხდის საქმესა და მის გაზიდვა-გადმოზიდვას არ გასწვდაო.

**ჩელიშევი.** ორის წლის წინად სათათბირომ მოითხოვა არყის მხდელთა ჯილდოების მოსპობის კანონ-პროექტი შემუშავებულიყო და ერთის თვის განმავლობაში წარმოედგინად, მაგრამ დღევანდლამდე არსადა სჩანსო. არყის მხდელებს საჩუქრებს ვერ დავურიგებთ იმ დროს, როდესაც სახალხო განათლებისათვისაც არ მოგვეპოვება ფულიო.

**ეპისკოპოსი მიტროფანე, დვორიანოვი და ანდრეიჩუკი** ჩელიშევის წინადადებას ემხრობიან.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგი **პოკროვსკი** პროექტის მიღებას თხოულობს.

**ტომილოვის** აზრით ხალხის ნაოფლარი არყის საქმეზე არ უნდა იფლანგებოდეს.

**ჩელიშევს** წინადმდება შეაქვს ეს საკითხი რიგიდან გამორიცხონ. 155 ხმით 86 წინააღმდეგ ამ წინადადებას უარჰყოფენ. 144 ხმით 133 წინააღმდეგ ეს საკითხი სრულიად მოხსნეს.

**უმაღლეს სასწავლებლებში მომხდარ არეულობის შეკითხვას უბრუნდებიან.**

**გეგეჭკორი** ამტკიცებს, ეს შეკითხვა სწრაფად განსახილველიაო მთავრობის უმეცარი და ხეპრე განმარტება ამ საკითხის თაობაზე ვერავის დააკმაყოფილებს. სტუდენტობა, როგორც საზოგადოების სათუთი და მგრძნობიარე ნაწილი, კანონიერად მოიქცა, როდესაც ციხეებში მომხდარ ათას ძალმომრეობის თაობაზე მსჯელობა მოისურვა. სოციალ-დემოკრატებს ხალხის ასამოძრავებლად კნოპკის დაჭერის მეტი რომ არაფერი სჭირდებოდეთ, როგორც აქ შულგინმა განაცხადა, აქამდე ბევრჯერ მოიქცეოდა ასე. ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობაც მოითხოვს ამ პროექტის მაშურობას. სიტყვის თავისუფლების მაგიერ ქალაქის უფროსის მუშტი-და შეგვრჩა. თუ თქვენ ან მწერლობის მდგომარეობა, ან აკადემიურ ცხოვრების მიმდინარეობა გაინტერესებთ, ამ საკითხს დაუყოვნებლივ განიხილავთ. მოზარდ თაობის საღსა და უზადო სხეულში გამხრწნელ შხამის წვეთებას თავი უნდა დაანებოთ. თქვენ სტუდენტობის დასაქსაქსავად, ქარსა სთესავთ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ რევოლუციის გრიგალს მოიმკით... (მარცხნივ ტაშის ცემა).

**პურიშკევიჩი** საკითხის დაუყოვნებლივ განხილვას ემხრობა, რათა გამოაშკარავდეს რომ სათათბირო სულიერ გახრწნილების ბუნაგია. განა ამ ტრიბუნამ არ შექმნა არეულობა ტოლსტოის გარდაცვალების დღეს? ამავე ტრიბუნამ არ გამოიწვია იგივე არეულობა მურომცევის გარდაცვალების დღეს? აქ არ დაიწყო არეულობა, როდესაც სათათბიროს ერთმა ნაწილმა საზონოვის თაობაზე შეკითხვა შემოიტანა? უნივერსიტეტში პოლიცია მისთვის შეიყვანეს, რომ იქ შეკრებილი ცრუპენტელანი გამოერეკნა.

სტუდენტობა ნაკლებაა დამნაშავე, დამნაშე პროფესურაა, რადგანაც სამინისტრომ სადავეები ცოტა მოუშვა. როდესაც განათლების მინისტრს, კასსოს ვკითხე მართალია, ვითომც ახლად რომ მინისტრად დაგნიშნეს, მურომცევის სამარე ინახულეთო?—მიპასუხა:—თქვენ განა სასაფლაოზედაც მითვალყურებთო? (სიცილი, ძლიერი ტაშის ცემა მარცხნივ) მე უპასუხე. სად იარება ლევ არისტიდის ძე კასსო, ჩვენთვის, რუსებისათვის, სულ ერთია, ხოლო სად იარება განათლების მინისტრი—ეს კი უნდა ვიცოდეთ მეთქი. პროგრამის უქონლობამ თავისი ნაყოფი გამოიღო, აშკარაა რომ მინისტრმა სადავეები დასტოვა. ჩვენი ვალია გამოვიკვლიოთ ვის ედება ბრალი და დამნაშავე სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ, გინდა მინისტრი იყოს და გინდ სტუდენტი. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ბრალდება ამ ცხვრის ბარას, სტუდენტობას, კი არ ედება, არამედ განათლების მინისტრს (მარჯვნივ ტაში).

შეკითხვის მაშურობა უარჰყვეს და იგი კომისიას გადასცეს.

# სახელმწიფო საბჭო

**აკიმოვი** თავმჯდომარეობს.

**შმემანის** წინადადებით, უძრავ მამულთა იჯარით გაცემის ვადა 36 წლით უნდა განისაზღვროს.

მომხსნებელი **კობილევსკი** საჭიროდ ჰრაცხს განსაკუთრებული წესები შემუშავდეს მამულების იჯარის საქმეებში მესამე პირის ინტერესთა დასაცველად და საგერბო წესდებულების შეცვლის თაობაზე. არსებულ საიჯარო დებულებით საგერბო გარდასახადი საიჯარო ხელშეკრულების დროს მამულის ნასყიდობის თანხას აღემატებაო. მამულის იჯარით გაცემა ფართო ვადით განვსაზღვროთო.

**დენისოვი** ამ პროექტის დიდმნიშვნელობას ამტკიცებს, ეკონომიურ საქმეში მთავრობამ უნდა გაადიდოს საიჯარო ვადა მადნეულიან, საქარხნო, სამრეწველო, ყინულის საწყობისა, ელევატორებისა და სხვა წარმოებისათვის საჭირო ადგილებზე, რომელთათვისაც 36 წელიწადზე მეტია საჭირო. ამის თაობაზე საჭიროა—კანონ პროექტი შემუშავდეს და საკანონმდებლო დაწესებულებას წარედგინოსო.

ხალხის დაუსწრებლად დაადგინეს, ზოგიერთა დამატება შეიტანონ მობილიზაციის დროს, ჯარის საჭიროებათათვის მკვიდრთა მიერ ცხენებითა და სხვა შინაურ საქონლით, და გამართულ ურმებით დახმარების წესს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 დეკემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ჩიკაგო.** გაფიცულ თერძებსა და პოლიციას შეტაკება მოუხდათ. ერთი გაფიცულთაგანი მოჰკლეს, მეორე—სასიკვდილოდ დასჭრეს. რამდენიმე პოლიციელი და გაფიცულთაგანი მძიმედ დაშავდა.

**ლონდონი.** 4 ს. 30 წუთამდე არჩეულია: 269 ლიბერალი, 264—უნიონისტი, 42—მუშათა პარტიისა, 31—რედმონდის მიმდევარი, 9—ობრეანის მომხრე.

**კანეა.** ოფიციალურ ორგანოში გამოცხადებულია მფარველ სახელმწიფოთა ელჩთა პროკლამაცია, რომლითაც ოსმალეთს აკუთნებენ კრიტოსის კუნძულს, როგორც ეხლა ისე სამერმისოდაც.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ 3 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა, მთავრობას მიანდოს სარკინის-გზო საჭიროებისათვის 104 მილიონი სესხი აიღოს.

**ბერლინი.** კავშირის საბჭომ ელზას ლორენის კონსტიტუციის პროექტი მიიღო. იმპერატორი მთავრობ გილესა ჰნიშნავს. კავშირის საბჭო და რეიხსტაგი ადგილობრივ კანონმდებლობაში მონაწილეობას არა ღებულობენ. პროექტით, ორი პალატა უნდა იყოს, პირველში 18 არჩეულნი იქნება, ამდენივეს იმპერატორი დაჰნიშნავს. არჩევნების უფლება მხოლოდ გერმანელ ქვეშევრდომთ აქვთ, არა ნაკლებ 25 წლისა. 35 წლის ამრჩეველს ორი ხმის უფლება ენიჭება, 45 წლის ზევით—სამი ხმა. სულ 60 დეპუტატი იქნება.

**მადრიდი.** დეპუტატთა პალატამ დაადგინა ჯარის რაოდენობა 110 ათასიდგან 135 ათასამდე აიყვანონ.

**ლონდონი.** ამოირჩიეს 329 ლიბერალი, 257 უნიონისტი, 40 მუშა, 65 რედმონდის მიმდევარი. 8 ობრიონის მომხრე. ლიბერალებმა შეიმატეს 21 ადგილი, უნიონისტებმა 25, მუშებმა 4.

**რ უ ს ე თ ი**

**ხარბინი.** 30 ნოემბერს ამოაჩინეს შავი ჭირით ავადმყოფი ჩინელების მოწვეულ იქმნენ სანიტარებად სტუდენტები. ჩინელების ქალაქ ფუჯიალიანში მოურჩელი სენი მძვინვარებს, აქედან სხვა სოფლებსა და ქალაქებშიაც გადადის, მიუხედავად იმისა, რომ დიდს ზომებს იღებენ შავი ჭირის მოსასპობად

**პეტერბურგი.** ფოსტის მთავარი გამგეობა აცხადებს, ჩრდილოსა და ჩრდილო-დასავლეთს დიდის ჯანყისა და წვიმების გამო ტელეგრაფი მხოლოდ ხან-გამოშვებით მოქმედობსო.

**პსკოვი.** დაიწვა კარპოვის ქარხანა.

**პეტერბურგი.** სენატის კასაციონურ დეპარტამენტმა განმარტა: თანამედროვე წიგნის გამომცემლები, რომლებსაც რაიმე ცვლილება, ან საწინააღმდეგო კომენტარიები შეაქვთ, 151 და 1033 მ. სამართალში იქნებიან მიცემული.

**მოსკოვი.** „რუსკოე სლოვოს" რედაქტორი 1 დეკემბრიდან „ქალთა უმაღლესს კურსების" შენიშვნისათვის დაჯარიმებული იქნა 500 მანეთით.

---

# ტერაკოია

(იაპონური დრამა).

**წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა**

ტერაკოია, ანუ სოფლის სკოლა, სუგავარა დენჯუ ტენერაი კაგამი ს ისტორიული ტრაგედიის უმთავრესს აქტს შეადგენს. როგორც საზოგადოდ უყვართ ხოლმე იაპონელ დრამატურგებს. ამ ტრაგედიასაც ფანტასტიური სახელი ჰქვიან—„სარკე განცლერ სუგავარის მიერ გადაცემულ მშვენიერ წერის ხელოვნებისა. ამ პიესაზე ოთხი ავტორი მუშაობდა. ცნობილი იაპონელი დრამატურგ-პოეტი ტაკედაიდუმო (1740) და მისი სამი თანამშრომელი. ამ პიესას ხშირად „განზესის" სახელითაც სდგავენ; ხალხისთვის უფრო საყვარელი აქტი კი ტერაკოიაა, სადაც ტრაგედიის უძლიერესი მომენტია დახატული. ამიტომ ხშირად მხოლოდ ამ მოქმედებას ადგენენ. ეს პიესა ყოველთვის დიდს შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაზე. თეატრში არ არის არც ერთი კაცი, თვით ევროპიელიც კი, რომელსაც გულში ღრმად არ მოხვდეს საზარელი და ძლიერი სურათი და გასხალის თავგანწირვის უაღრესმა ტრაგიზმმა ცრემლები არ გამოიწვიოს.

საჭიროდ მიგვაჩნია მცირეოდენი ცნობანი წავუმძღვაროთ.

მეცხრე საუკუნის დამლევს მეფის კარზე კიოტოში სცხოვრობდა ერთი შესანიშნავი იაპონელი პოეტი და კალიგრაფი (მცოდნე მშვენიერი წერისა)—სუგავარა მიჩიზანე, იმპერიის მეორე კუთხის კანცლერი. თავისს გასხალებში მიჩიზანეს უფრო მიჩნეული ჰყავდა შირატაიუ, რომელიც უვლიდა მიჩიზანეს სამს საყვარელს ხეს: ქლიავსა (უმე), ალუბალსა (საკურა) და ფიჭვსა (მატსუ).

ერთს მშვენიერ დღეს შირატაიუს სამი შვილი ეყოლა —მიჩიზანე მფარველობდა გასხალის შვილებს და საყვარელ ხეების სახელები დაარქვა:—უმეო, საკურამარუ და მატსუა. როცა წამოიზარდნენ, ორი მათგანი სამსახუროდ მივიდა მიჩიზანესთან, რომელმაც მათ სამურაის წოდება უბოძა, მესამე კი, მატსუო, პირველ კანცლერს ფიუჟივარა ტოკიჰირასთან მივიდა და იმას ემსახურებოდა.

მიჩიზანესა და ტოკიჰირას შორის დიდი მტრობა და სიძულვილი იყო ჩამოვარდნილი. რადგანაც დიდების მოყვარე ტოკიჰირას ტახტის ხელში ჩაგდება უნდოდა, მიჩიზანე კი ამას ეწინააღმდეგებოდა.

ბოლოს, მოზერხებულმა და ცბიერმა ტოკიჰირამ იმპერატორს თავისი მტრის წინააღმდეგ გულში ეჭვი ჩაუნერგა და მიჩიზანე კუნძულ კიუშიუზე გაამეგეს, მისი ოჯახი და მომხრეები სულ სხვა და სხვა მხარეს გაჰფანტეს. მაგრამ, რადგანაც ტოკიჰირას ეშინოდა თავისი განძევებული მოწინააღმდეგის ეჭვს ჩამომავლისა, ამიტომ გადასწყვიტა სრულიად აღმოეფხვრა ისინი. ამის მიუხედავად გენზომ, მიჩიზანეს ყოფილმა გასხალმა და სამურიამ, მაინც გადაარჩინა თავისი ბატონის უფროსი შვილი შიუსაია, რომელსაც გენზო თავისი შვილის სახელით ზრდიდა ერთს პატარა მთიეულ სოფელ სერიოში, სადაც ის დასახლდა. აქ კერძო სკოლა გახსნა (ტერაკოია) და გლეხის შვილებს ასწავლიდა ჩინურ წერას, რომელიც მას თვით მიჩიზანესაგან ჰქონდა შესწავლილი.

აი ამ სკოლაში ხდება ეს დრამა.

შირატაიუს სამი შვილისაგან უმეო გაჰყვა სამშობლოდგან გაძევებულ მიჩიზანეს, საკურამარუ მოჰკლეს, როცა თავისს ბატონს იცავდა მტრებისგან, ხოლო მატსუო მძლეობურად თავისი მფარველი მიჩიზანეს დაუძინებელი მტრის ტოკიჰირას სამსახურში იყო. მატსუოს ამისთანა საქციელი ძალიან სწყინდა მიჩიზანეს და მან თავისი ჩწუხარება გამოსთქვა შესანიშნავს ლექსში:

ქლიავი (უმეო) მომყვა აქ, უცხო მხარეს,
გაზმა ჩემოვისინ იქ ალუბალი (საკურამარუ)
და ნუ თუ ქვეყნად მარტოკა ფიჭვი (მატსუო)
არის ორგული და სულმდაბალი.

ამ ლექსში მან, გამოხატა ის, რომ ქლიავის სე-უმეო, თავისი მამულის ბედიდგან გადავიდა კუნძულ კიუშიუზე თავისს განდევნილ ბატონთან; ალუბალი გაზმა ე. ი. საკურამარუ მოკვდა თავისი ბატონისთვის; მხოლოდ ერთმა ფიჭვმა, მატსუომ, უღალატა, მაგრამ რომ მატსუო გულით მიჩიზანეს ეკუთვნოდა, ეს მან დაუმტკიცა, როცა თავის საკუთარი შვილი შესწირა მიჩიზანეს უნცროსი შვილის დახსნას. ეს ებიზოდია აწერილი ამ დრამაში.

თითონ მიჩიზანე შემდეგ წელში გარდაიცვალა (908) მისი სიკვდილის შემდეგ იმის მტრებს მრავალი უბედურობა ეწიათ. რაც ცრუმორწმუნე ხალხმა მის შორის მაძიებელ სულებს მიაწერა მიჩიზანე ღმერთებში ჩასთვალეს და თაყვანსა სცემენ მას, როგორც მშვენიერი წერის ხელოვნების ღმერთს, ტენდუსინის სახელით. მთელს იაპონიაში იმის სახელობაზე მრავალი რიცხოვანი ტაძრებია აგებული.

**მ ო ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:**

1. გენზო, გაძევებულ სიუგარა მიჩიზანეს გასხალი და შეგირდი; ეხლა სოფლის სკოლის მასწავლებელია.
2. ტონამი, მისი ცოლი.
3. მოტსუო, პირველ ვეზირის ტოკიჰირის გასხალი.
4. ჩიიო, მისი ცოლი.
5. კოტარო. მათი შვილი, (8 წლისა).
6. გემბა, ტოკიჰირის სამსახურში მყოფი.
7. მიუსაი, ყოფილი ვეზირი მიჩიზანეს შვილი, 8 წლისა.
8. მისი დედა, გაძევებული მიჩიზეს ცოლი.
9. სანსუკე, მატასუოს მსახური.
10. შვიდი გლეხის ბიჭი, 8—10 წლისა (ერთი მათგანი გიმპელი 15 წლისაა, მაღალი, ცოტა მოსულელო), გენზოს შეგირდები.
11. ქებიკები, გემბის უფროსობით.
12. გლეხები.

მოქმედება სწარმოებს გენზოს სახლის სასკოლო ოთახში, სოფელ სერიოში 902 წელს.

**გამოსვლა 1.**

მიუსაი, გიმპელი და სხვა შეგირდები.

(ყველა მოკეცილია პიუპიტრების წინ, რომლებზედაც აწყვია რვეულები და ყუთები ტუშით. ყოველ პიუპიტრთან პატარა ყუთი სდგას წიგნებისთვის. ყველას ხელში უჭირავს ბეწვის კალამი და იაპონურ და ჩინურ ასოების წერაში ვარჯიშობენ. ხშირად ანებებენ თავს წერასა და ცელქობენ. ბევრს მათგანს სახე და ხელები ტუშითა აქვთ მოთხუპნული).

გიმპელი. სისულელეა, ასე ვისხდეთ და ვწავლობდეთ, როცა მასწავლებელი სახლში არ არის. (მაღლა ასწევს რვეულს). ამას შეხედეთ, როგორი ბონზა დავხატე მელოტი თავით! (საერთო სიცილი და ყვირილი. რამდენიმე თავისი ადგილებიდან წამოხტება).

შიუსაი. (ბეჯითად განაგრძობს წერას). მაგ სულელურ სურათების ხატვას, უმჯობესია სხვა რამე გააკეთო. მაგოდენა ხარ და უბრალო ნიშნების დაწერაც კი არ იცი. გრცხვენოდეს.

გიმპელი. ოჰო, სამაგალითო შეგირდი! შეხეთ ერთი სამაგალითო შეგირდს,—მეტიჩარა!..

პირველი შეგირდი. (უკანიდან სახაზავს დაარტყამს თავში) ნუ ილანძღები, გიმპელ, თორემ...

გიმპელი. (ღრიალს დაიწყებს) ვაიმე! ვაი, ვაი, მომკლეს!.. (პირველ შეგირდს თავზე ტუშს დაასხამს).

მეორე შეგირდი. აი, სულელი! ყველაზე დიდია და ხელს ახლებენ თუ არა, ღრიალს მოჰყვება.

მესამე შეგირდი. ერთი კარგისა უთავაზე კიდეც თავში მაგ დოყლაპიას! (რამდენიმე შეგირდი მისცვივდება გიმპელს სახაზავებით. საერთო ჩქიდაობა, ჩხუბი და ხმაურობაა).

**გამოსვლა 2.**

(მეორე ოთახიდან შემოდის ტონამი).

ტონამი. ბიჭებო! კიდევა ჩხუბობთ? დაწყნარდებით, თუ არა! ამ საათში თქვენ თქვენს ადგილებზე დასხედით და გაკვეთილის წერა დაიწყეთ. მასწავლებელი ჩქარა დაბრუნდება, თუ ბეჯითად იმეცადინებთ და გაკვეთილებს დაისწავლით, სადილის შემდეგ გაგანთავისუფლებთ.

რამდენიმე შეგირდი. ოჰო, აი ეს კარგია! აბა, ვწეროთ, ვწეროთ ყველამ! (ყველანი ბეჯითად შეუდგებიან მუშაობას, სწერენ და თან ნახევარ ხმითა კითხულობენ).

ი—რო—ხა—ნი—ხო—ხე—ტო...

**გამოსვლა 3.**

(შემოდის ჩიიო და თავისი შვილი კოტარო შემოჰყავს. მათ უკან მოსდევს სანსუკე პიუპიტრითა, წიგნების ყუთით და ორი რვეულით ხელში).

სანსუკე. (კარებს შემოაღებს) შეიძლება!

ტონამი. მობრძანდით, მობრძანდით.

ჩიიო. (შემოდის კოტაროთი) თქვენი მოწყალე ნებართვით (თავს უკრავენ ერთმანეთს), ჩემმა გამოგზავნილმა კაცმა, რომელიც დღეს დილით ბ. გენზოსთან იყო საკითხად, მიიღებდა თუ არა ჩემს შვილს თავისს სკოლაში, სასიამოვნო პასუხი მომიტანა—გენზოს ალერსიანი თანხმობა. მე უკვე მოვიყვანე ჩემი ბავშვი. აი!

ტონამი. აჰა, ეს თქვენი შვილია? გულით მოხარულნი ვართ. რა ლამაზი ბავშვია!

ჩიიო. გმადლობთ. ვიმედოვნებ, ეს თქვენ არ გაგაჯავრებთ. სულ რამდენიმე დღეა, რაც ამ სოფელში მოვედით საცხოვრებლად. ჩვენა ვცხოვრობთ სოფლის ბოლოში. ძალიან გამეხარდა, როცა გავიგე, რომ თქვენც ამის ხნის შვილი გყოლიათ. აქ ხომ არ არის?

ტონამი. დიაღ, აი აქ გახლავთ. (შიუსაის) მოდი, მანდილოსანს თავი დაუკარი. (შიუსაი მივა და მდაბლად თავს დაუკრავს). აი ეს არის გენზოს შვილი და მემკვიდრე.

ჩიიო. (დაშტერებით უცქერის ხან შიუსაის სახეს, ხან თავისი შვილისას). თქვენი შვილი ძალიან მშვენიერი ბავშვია, ქალბატონო გენზო. მაგრამ მე აქ ვერა ვხედავ თქვენს მეუღლეს; განა ის სახლში არის?

ტონამი. სამწუხაროდ, ეხლა აქ არ არის. დღეს დილით მამასახლისთან დაიბარეს, ჯერ სოფლის საქმეებზე თათბირობენ და მერე პატარა ნადიმი აქვთ, მაგრამ რადგანაც ჩვენი სახლი იქიდან ცოტა მოშორებით არის, ამიტომ შეიძლება მალე ვერ დაბრუნდეს. თუ გნებავთ, გავგზავნი ვისმე დასაძახებლად.

ჩიიო. არა, არა, ნუ შესწუხდებით. მეზობელ სოფელში უნდა ავიდე, იქ საქმეები მაქვს და სანამ დავბრუნდები, იმედია, ბ. გენზო უკვე სახლში იქნება. ჰეი, სანსუკე, მოიტა ეგენი აქა. (სანსუკე აძლევს მას ორს ხვეულს. პირველი შეხვეულია თეთრს ქაღალდში, საჩუქარის ნიშნები ასვია ზედ, და ზრდილობიანად დასდებს ტონამის წინ) აი ეს პატარა საჩუქარი, გთხოვთ, ნუ შემრისხავთ და დღევანდელი დღის სახსოვრად მიიღოთ.

ტონამი. (მდაბლა თავის დაკვრით) ო, თქვენ ძალიან მოწყალედ მექცევით, ღმერთმანი, მომეტებულად...

ჩიიო. არა ღირს ლაპარაკად. ამ ყუთში კიდევ რაც არის, გთხოვთ ბავშვებს დაურიგოთ, თქვენს შეგირდებს.

ტონამი. დიდად, დიდადა გმადლობთ. ჩემი ქმარი ძალიან მადლობელი დაგრჩებათ.

ჩიიო. ახლა კი გამოგეთხოვებით. ჯერ-ჯერობით ბავშვს თქვენ დაგიტოვებთ. (კოტაროს) ჩემო ძვირფასო ბავშვო, ჭკვიანად იყავი. მე აქვე სოფელში მივივლი და ჩქარა ისევ დავბრუნდები.

კოტარო. აქ მარტოს ნუ მტოვებ მეც თან წამიყვანე. (კაბის კალთას ეწევა დედას).

ჩიიო. (გაეშვებინება). რა მშიშარა ბავშვი ხარ, არა გრცხვენიან, კოტარო! (ტონამის). ხედავთ, როგორ მოპტირის! (უყვავებს). შენ ხომ ჩემი კარგი, საყვარელი ბავშვი ხარ, იყავი აქა, ნუ გეშინიან. დარჩი, მე ხომ ჩქარა დავბრუნდები! (მიდის, სანსუკე უკან მისდევს. გასვლის დროს რამდენჯერმე მოიხედავს და ნაზი სიყვარულით უცქერის კოტაროს. ბოლოს ისევა ბრუნდება უკან). უკაცრავად, გაწუხებთ, მგონი აქ ჩემი მარაო დამრჩა. (ეძებს მარაოს).

ტონამი. (რამდენიმე წუთის შემდეგ). მარაო ხელში გიჭირავთ.

ჩიიო. (დარცხვენით) ახ, მართლა! რა დაფანტული ვარ! (გასვლისას კვლავ დაღონებული შეხედავს თავისს შვილს).

ტონამი. (ნუგეშის ცემით) წავიდეთ, ნუ მოიწყენ ჩემო კარგო, მოდი აქ, ჩემ შვილთან ერთად ითამაშეთ. (მიჰყავს შიუსაისთან და სცდილობს როგორმე გაართოს).

**მოსკოვი.** საიდუმლო პოლიციამ შეიპყრო დიდი დამნაშავე ანიკეევი, რომელიც სამხედრო სასამართლოს გაექცა. ბრალდებოდა იარაღით წინააღმდეგობა.

# ახალი ამბები

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**სამძიმრის დეპეშა.** გ. დეკანოზიშვილის გარდაცვალების გამო რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ხარკოვის უნივერსიტეტთან არსებული ქართველთა სათვისტომო ღრმად შეწუხებულია ქართველ საზოგადოების მიერ საუკეთესო საზოგადო მოღვაწის გიორგი დეკანოზიშვილის დაკარგვის გამო და მუხლს ვიდრეკთ თავგანწირულ ქართველის ხსოვნის წინაშე. გამგეობის წევრნი: კიკნაძე, შარაშიძე, კანდელაკი, სიჭინავა, შერვაშიძე.

**შავი ჭირის მოლოდინში.** 3 დეკემბერს პირველი კრება ჰქონდა ტფ. ქალაქის სანიტარულ-აღმასრულებელ კომისიას შავის ჭირის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად. ამავე საგნის გამო ხვალ საგანგებო კრება ექმნება კავკასიის ამკურნალო საზოგადოებას.

**მხატვარ გ. გაბაშვილის სურათები.** ჩვენის ნიჭიერის მხატვრის გ. ი. გაბაშვილის რამდენმამე პატივის მცემელმა შეიძინა მისგან ხუთი სურათი და უძღვნა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ეს სურათები წარმოადგენენ ჩვენის ქვეყნის ეთნოგრაფიულ ტიპებს: მოქალაქისას, ქართლელისას, იმერლისას, ხევსური ქალისას და კრო-მუშისას. გარდა მათის განსაკუთრებულის მნიშვნელობისა, ეს სურათები საუცხოვოდ ნიმუშია გაბაშვილისებურს მხატვრობისა, ისე რომ ავტორის სახელი ზედაც რომ არ ეწეროს, მაინც ერთის შეხედვიდვე იცნობს კაცი, ვისი ნახატიც არის. ეს სურათები ჩინებულად დაამშვენებენ მომავალს „ქართულს მუზეუმს“.

**ტფ. ქალაქის ხარჯთ აღრიცხვა.** ხუთშაბათს, 2 დეკემბერს, ქალაქის საბჭო მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგა. ამ კრებაზე მხოლოდ 6 მუხლის განხილვა მოასწრო.

**თავისუფალი სტიპენდიები.** ტფ. ქალაქის თვითმართველობის სტიპენდიები განთავისუფლდა შემდეგს სასწავლებელში: დედათა გიმნაზიებში, პირველი—4 სტიპენდია, მეორეში—1, მესამეში—1 და მეოთხეში 5, პირველ ვაჟთა გიმნაზიაში—2, რეალურ სასწავლებელში—1, ქალთა უმაღლეს კურსებზე—1, მედიკურ კურსებზე—1 და სტუდენტთათვის—2, ჯერ-ჯერობით ეს სტიპენდიები ითხოვა 120 კაცმა.

**ჯარიმები.** ტფ. გუბერნატორმა დააჯარიმა: 1. ხორცის ძვირად გაყიდვისათვის ივანე კაკნაძე და სარქის გირელოვი თითო 50 მ., თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, თითო თვით დააპატიმრებენ; 2. რაფიელ გოკიელოვი 50 მან., ნება-დაურთველად იარაღის შენახვისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის, ორის კვირით დააპატიმრებენ.

**საბავშვო კითხვა.** დღეს სახალხო კითხვის კომისია საქმის თანაგრძნობ პირთა დახმარებით სინემატოგრაფ „მუზა“-ს სადგომში მართავს მეცნიერულ-განმანათლებელ კითხვას ბავშვთათვის შემდეგის პროგრამით: 1) „ფრენა“ ლექცია ბ-ნ კარამიჩევისა და 2) „განთქმულ მეზღვაურთა გმირობანი“ ლექცია ბ-ნ პოლუშკანისა. დასაწყისი 12 საათზე.

**დღეს,** 5 დეკემბერს, ავჭალის აუდიტორიაში საბავშვო კითხვა გაიმართება. ქ-ნი [illegible]თმელიძე წაიკითხავს: „რუხი მგელი და ხემწიფის შვილი“.

სამკურნალო საზოგადოების შენობაში ქ-ნი ბარნაბიშილი წაიკითხავს: „რობინზონ კრუზე“.

ნავთლუღში ქ-ნი ნასიძისა წაიკითხავს: „კავკასიის ტყვე“.

დასაწყისი ყველგან 11 საათზე.

**ჟურნალი „ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილი“-ს მეთერთმეტე ნომერი, რომელიც ჩვეულებრივ შინაარსიანად არის შედგენილი.

# პატარა ფელეტონი

### კვირიდან-კვირამდე

ცუდი დრო დადგა, მკითხველო,
ცხოვრება გასაჭირია,
ისე ვართ გარიყულები,
ვით უდაბნოში მწირია.
ყველას: დიდსა და პატარას
ჩამოუტირის პირია,
ისმის გლოვა და ვაგლახი,
ნუგეშის მოქმედი ძვირია.
პირველად ჟურნალ-გაზეთებს
(რაღაც წყეული ჭირია)
ჩამოუარა... უეცრად
საფლავში უკრა ცხვირია.
ჯერ სული მათრახს ამოჰხდა,
„ეშმაკი“ ანიატირია.
ხუცებმა წესი აუგეს,
კუბოს ჩაუსხეს კირია
სთქვეს: „აწი მწარე ჭანჭიზედა
ვერ გვიმღერს მისი სტვირია,
ალილილუია, აცხონე,
ის ჯოჯოხეთის ჩხირია“!
შემდეგ-კი მოჰყვა ზედი-ზედ,
(ან რაღა გასაკვირია?)
მოკვდა ჟურნალი „თეატრის“,
„ერისა“ საქმე ირია,
შებოჭეს... დააუძლურეს,
მისი ბელადი, გმირია,
მკითხველო, „ერი“ არ ერობს
აგერა ერთი კვირია.
„საქმესას“ რაღას გამხელს
ჩემი ცოდვილი პირია,—
იმისი სამტრო მახვილი
დიდი ხნის დანაპირია.
აღარ გაართვეს საშველი
გამოუთხარეს ძირია,
რედაქტორ თანამშრომლებსა
ერთბაშად გაჰკრეს კბილია.
ერთი-ღა დაგვრჩა დღეს, ერთი
გაზეთი მისატირია,
მაგრამ მის არსებობისა
იმედი, ვაჰმე! მცირია!
აქეთაც სცემენ, იქითაც,
გამოაცალეს ლირია,
(ვით მოაწია დღემდინაც,
ღმერთმანი გასაკვირია!)
მაგივრად ლორთქიფანიძე
ჟურნალსა დანაპირია!
ორმოცი რედაქტორი ჰყავს,
მთხოვნელი კიდევ ხშირია.
და „ექვსას ექვსიც“ იბადვის,
გამოუყვია ცხვირია,
ჩვენი „ჰაზირას“ ლექსებსა
სულ შეუშალა ნირია.
„რეჩს“ [illegible]ვლის „ზაკავკაზიე“
მეც ბლომად მაქვს „жир“-ია.
ზედ სიძედ [illegible]ეცა მიმიღეთ,
კარგი ვიქნები გზირია“.
გიორგიმ შემოუთვალა:
ვალი რამ გვმართებს მცირია,
თუ გადავვიხდით, მობრძანდით
აგეთი ხალხი გვჭირია.
„გოლოს-კავკაზა“ დანაღვლდა,
სთქვა: „რეჩი“ პურად-ძვირია,
იორემ მეც შემიერთებდა
მეცა მყავს „მუშტთა“ ბჟირია.
„ქუთაისისა ლისტოკი“
უზომოდ განაკვირია,
დეპეშან გზავნის მისალოცს,
მომტანი ვინმე სირია.
ძაღლი პატრონსა ველარ სცნობს,
სოფელ-ქვეყანა ირია,
მაგრამ ეჰ, გულს ნუ გაიტეხთ,
ჩონგურს გაჰკარით წკირია,
დასავლეთ-აღმოსავლეთით,
მოგვადგა შავი ჭირია!
მოდის და მოიბაქება,
მოაქვს მახვილი ცელია,
სულ დაგვავიწყებს ამ დარდებს
მის მუხანათი ხელია.
როდესაც კაცი არ გვწყალობს,
ჰა, ღმერთი რა-რიგ მშველია.
სულ კაცთა ლეშით აივსოს
მინდორი, ტყე და ველია.
ვერ ერეოდეს ფოცხვერი,
ეხმარებოდეს მგელია,
დიაკონს გაუხაროდეს,
გამდიდრდებოდეს მღვდელია.
(თუ თანაც არ წაიტანა
ის სულის მცხონებელია!)
ეხლა ტფილისსაც მოვხედოთ,
ვიკითხოთ რა ამბავია,
კარაპეტ, ყვირის: მეკარგვის
მახლოს, ვაჰარი თავია.
ნუ თუ შავ ჭირს და ჩვენ შუა
არ მოხერხდება ზავია,
ათი ათასი დავხარჯო,
თქვენს ზურგზე ანაწნავია.
მერწმუნეთ, მტკვარსა ადიდებს
ცრემლი მის შენართავია.
ლოთებმა ღვინოს უმატეს,
სთქვეს: ნუ ვიქნებით ხმია,
დავლიოთ სანამ არ დაგვეს
უკანასკნელი წამია.
ინტელიგენტსა შიშითა
ძირს დაუგდია კალამი,
შეგხვდება, მუნჯად ჩაგივლის,
არ უნდა შენი სალამი.
ჭირი კი, კმრზე კაკუნობს,
„უპრავას“ აჰტუზებია,
ჰსურს მარჯვედ დააყიროვოს
მას შიგან რაც ტუზებია.
ყოველი მხრიდან გაისმის
სასო-წარკვეთის ხმებია,
დაფოლდეს... იქმნეს უფასოდ
ყოველგან ხორცის ძნებია,
მაშინ და ნახე, მკითხველო,
თვით დუშმანიცა ნანობდეს—
და მათთვის თქვენი ტლინკაძე,
სულთათანასა ჰგალობდეს.

ტლინკაძე.

## ქართულ მუსიკის უახლოვესი კითხვები

საქართველო მუსიკალურ ქვეყანაა და ქართველობაც, ყოველ ეჭვს გარეშეა, მუსიკალური ხალხია.

და განა შეიძლება ქართველობა მუსიკის მოყვარულ ხალხთა რიცხვს არ მივაწეროთ?

ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ რა სასოებით, და რა ღრმად უყვარს ქართველს მუსიკა, სიმღერა. უყვარს და აკი ამიტომაც ვხედავთ, თუ რა მხურვალე მონაწილეობას იღებს იგი, რა საპატიო ადგილს უთმობს მუსიკას თავის ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენაში. დაღილინებს იგი ურმის კოფოზე მარტოკა მჯდომი, თუ სევდას აქარვებს და ასიამოვნებს გულს ფერხულის ან რაიმე საერთო ლხინის დროს. და განა შესაძლებელია საქართველოში ყოფნა და არა მღერა?

ეს წალკოტივით სავსე ველები, თავისებურად ლამაზი ტყეები, თვალწარმტაცი დევ-ბუმბერაზი მთები, რომელთა სიტურფით შეფარდებულ კალთაში ჩახიზნულია ქართველთა არემარე, თავის გავლენას იქონიებენ კაცის ფსიხიკაზე, მის ესტეტიურ გრძნობებზე და მით ემოციებს გამოიწვევენ. სხივთა უხვად მფრქვეველი მზე, ბუნების მოხდენილი მოკაზმულობა, კიდითი-კიდემდე ნისლით მოდებული სილამაზე და სიტურფე იძულებულ გახდის, ქება-დიდება უგალობოს მის მშვენიერებას. ქართველიც არ დარჩენილა ყრუთ და არამც თუ სიმღერით შეუმკია, არამედ მისს ქების შესაფერი ღირსეული ჰიმნებიც შეუქმნია.

საქართველოს მიდამოზე მგზავრობის დროს, რამდენჯერ მითქვამს, შეუძლებელია, რომ ასეთმა მხარემ უკვდავი პოეტები, ღრმა ფილოსოფოსები, განთქმული კომპოზიტორები და გამოჩენილი მხატვრები არ წარმოშობოს-მეთქი. თუ ასეთ ბუნებას არ ხვდება წილად მათი წარმოშობა, მაშ, რომელმა უნდა აღზარდოს ისინი? ჩემის კითხვების პასუხად მომგონები ჩვენი ბელეტრისტიკა და პოეზია, მხატვრობა და ქანდაკება,—ეს ახალი ქართული სულის ახალი ბგერა.

რაც შეეხება ხელოვნურ მუსიკას იგი ჯერ არა გვაქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მეტად მცირე წვლილს, რაიც გვაქვს [illegible] დარგში, მაგრამ მომღერლები უკვე გვყვანან. ეს ფაქტი ჰმოწმობს, რომ საქართველო ამ მხრივ თავის დროზე გამოჩენილ მუსიკოსთა აღგვიზრდის. უკანასკნელთ უეჭველია ინსტრუმენტალისტებიც მოჰყვებიან, რომელნიც დღესაც კი მოიძებნებიან აქა-იქ და თავის მშვენიერის დაკვრით თარზე, ჭიანურზე და სხვაზე, მსმენელი აღტაცებაში მოჰყავთ. შეხვდებით აგრეთვე ფრიად საინტერესოთ მომღერალ-მოხუცებს, რომელთაც წმინდად შეუნახავთ წინაპართა სიმღერები და ტრადიციები.

ყველა ეს ფაქტები იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ხალხში გაფანტული ძალა გვაქვს, თავისებური თანხა, რომელსაც მხოლოდ შეგროვება და შემუშავება უნდა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ მეტად მცირეა რიცხვი ამ შემგროვებელ-შემმუშავებელთა. საჭიროა ენერგიული და მცოდნე მუშაკნი ამ ძვირფასს განძის გასაჩხრეკად. ბევრს არა სჯერათ, რომ ქართული მუსიკალური ხელოვნება (საკუთარი) არსებობის უფლებას მიიღებს, დადგება მჭიდრო ფეხზე მხოლოდ მაშინ, როდესაც შეგროვდება საკმაო დაუმახინჯებელი მასალა და როდესაც ეს მასალა, რაც უფრო უმთავრესია, შესწავლილი იქნება ჰარმონიის და კონტრა პუნქტის მხრივ.

აი აქ აღნიშნულ მოსაზრებათა განსახორციელებლად ქართველმა საზოგადოებამ, ვფიქრობ, შემდეგი საშუალებანი უნდა იღონოს:

უნდა მოეწყოს, რაც შეიძლება ფართოდ, სიმღერათა შეგროვების საქმე, ფონოგრაფის შემწეობით იქმნება იგი, თუ ისე ჩვეულებრივის ჩაწერით. ვინც ამ საქმეს იკისრებს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, ჩემის აზრით, გლეხთა შორის შენახულ სიმღერებს, რადგან სიმღერა უკანასკნელთა ხელში ჰარმონიის სიწმინდე-სინამდვილის მხრივ ეჭვს გარეშეა, მაშინ როდესაც თავადაზნაურთა ხელში სიმღერას დიდი შერყვნა და ცვლილება განუცდია. მაგალითად, საკუთრივ, მე მაქვს ჩაწერილი რამდენიმე სიმღერა, როგორც ერთთაგან, ისე მეორეთაგანაც და რამდენადაც პირველთა (გლეხთ) მართალი და ბუნებრივია, იმდენად თავ.-აზ. ხელში შერყვნილია: მეორე ხმაში ინტერვალის ტერციის მონურ შეტანის მეოხებით.

ამ მოსაზრებით, ჩვენი მოვალეობაა ყველას ყურადღება ამ საშიშ ბოროტებაზე უნდა მივაქციოთ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჩვენს საქმეს, თუ უკვე არ მოუტანა (რადგან ჩვენ

*) აქ მხოლოდ აწმყოზე ვლაპარაკობთ, წარსულის „სიამაყე“ მხედველობაში არა გვაქვს. დ. ა.

---

## გამოსვლა 4.

(შემოდის განზო. ფერმკრთალი და აღელვებულია. კარებში შეჩერდება და შეგირდებს ათვალიერებს. კოტარას ვერ ამჩნევს)

**განზო.** (თავისთვის უკმაყოფილოდ) გლეხური სახეები—ჩვეულებრივი; გლეხური გაჩეჩილი თავები,—სრულებით არ გამოდგებიან. (ჯდება. გაშტერებული ტონაში მას გაკვირვებით და შიშით შესცქერიან. ჩამოჯდება იმის პირდაპირ და რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ ეუბნება).

**ტონამი.** როგორღაც აღელვებული ბრძანდები, ჩემო ძვირფასო მეუღლევ, გაფითრებული. სულ რაღასაც ლაპარაკობ შენთვის. ხომ არაფერი მოხდა? რა გაწუხებთ აგრე და ბავშვებს აგრე გაჯავრებით რად უქცერით? გთხოვთ, ეგრე დაღვრემით ნუ იქმნებით, ეს არის ეხლა ახალი შეგირდი მოგვიყვანეს, ის ისეთი ნაზი, კეთილშობილი ბავშვია. ცოტა გაუღიმეთ იმას ეგრე მკაცრად ნუ შეხედავთ. აი ის. (კოტაროს) მოდი ახლო, კოტარო, თავი დაუკარი მასწავლებელს.

**კოტარო.** (მდაბლად თავის დაკვრით მასწავლებლის წინ ჩაცუცქდება. ბატონო მასწავლებელო, მიმიღეთ და სულით და გულით თქვენი ერთგული და გამგონე ვიქნები.

**განზო.** (დაფიქრებული უცქერის) კარგი! წადი შენს ადგილს. (სანამ კოტარო დგება, განზო მოულოდნელად შეხედავს იმას და გაკვირვებით შეაცქერდება, ამასთანავე რამდენჯერმე შეხედავს მიუსაის და ისევ კოტაროს დააცქერდება. თანდათან სახე უბრწყინდება თავისთვის) ამას რას ვხედავ? ეს ხომ... (ხმა მაღლა) კოტარო, მოდი ჩემთან, აბა ერთი შემომხედე! (თავისთვის) დიაღ. ეს სწორედ კარგია! (მაღლა) შენ კარგი ბავშვი ხარ, კოტარო! ლამაზი ყმაწვილი, კეთილი, ზრდილობიანი; მაშინვე ეტყობა, რომ კარგი სახლიდგან არის; არა ჩემო ტონამი?

**ტონამი.** დიაღ, რასაკვირველია! დიდად მოხარული ვარ, რომ ბავშვი მოგწონთ და მაგისმა შეხედულობამ გაჰფანტა ის ბურუსი, რომლითაც თქვენი სახე იყო შემოსილი. ეგ კარგი და ბეჯითი შეგირდი იქმნება. ეს არის ეხლა მოიყვანა თავისმა დედამ...

**განზო.** თავისმა დედამ? ჰმ! მერე, ამისი დედა აქვეა?

**ტონამი.** არა, მახლობელ სოფელში საჭირო საქმეებზე მიეჩქარებოდა. მაგრამ, დაბრუნდება თუ არა, შემოივლის შენთან მოსალაპარაკებლად. მგონი, ბევრი ხანი არც მოუგვიანდება და ჩქარა მოვა.

**განზო.** როგორ? ჩქარა მოვა? ჰო, რა უნდა მეთქვა—ეხლა, არა მცალიან, საჭირო საქმეები მაქვს,—ბავშვებს უთხარი, რომ დღეს, გაკვეთილებიდან ვანთავისუფლებ, გაიყვანე ისინი უკანა ოთახში, დაე, იქ ითამაშონ, როგორცა სურთ, მხოლოდ ძალიან ნუ იგიჟებენ და ნუ იყვირებენ, რომ მუშაობა არ დამიშალონ. (ბავშვებს) ეი, დაალაგეთ ყველაფერი რიგზე! თავისუფლები ხართ დღესა. (შეგირდები დიდის ხმაურობით ადგებიან ადგილებიდან, ალაგებენ წიგნებს და პიუპიტრებთან ერთად ოთახის კუთხეში აწყობენ. შემდეგ ტონამის წინამძღოლობით მხიარული ჟრიამულით მიდიან სცენის სიღრმეში მყოფი კარებით. რამდენიმე წუთის შემდეგ ტონამი ბრუნდება და როცა დარწმუნდება, რომ ოთახში იმათ მეტი არავინ არის, ქმრის წინ მუხლებზე დაეშვება).

## გამოსვლა 5.

### განზო და ტონამი.

**ტონამი.** ისევ მოწყენილი ბრძანდებით! მითხარით, რა მოხდა? მას აქედ, რაც თქვენ ოთახში შემოხვედით და ესე გაყვითლებული, გაჯავრებული დაგინახეთ, გული ვერ დამიმშვიდებია. შემდეგ, როცა თქვენ თვალიერება დაუწყეთ ყოველ ბავშვს სათითაოდ, თუმც ეს გასაკვირვია, მაგრამ — მაპატიეთ — მე მთლად კანკალმა ამიტანა. მერე ეს თქვენი უცები სიხარული სრულიად უცნობი ბავშვის დანახვაზე. მე რაღაც უბედურება მელანდება თვალებში. გეხვეწებით, გემუდარებით, მითხარით, რას ნიშნავს ყველა ეს?

**განზო.** უბედურება? ჰო! ჩვენ გაგვცეს. ის საიდუმლო, რომ ჩვენ აქა ვმალავთ და ვზრდით ჩვენს ახალგაზდა ბატონს, აღარ არსებობს. კანცლერმა ტოკიხირამ უკვე ყველაფერი იცის. და იმას სწყურიან სისხლი იმ უკანასკნელი ჩამომავლისა, ვისი შურის ძიებისაც მას ეშინიან, როცა ის გაიზრდება.

**ტონამი.** საშინელებაა! მე მაგასა ვგრძნობდი და მოველოდი! თქვენ როგორ გაიგეთ ყველა ეგ?

**განზო.** მამასახლისის წვეულებაზე. ეს წვეულება მხოლოდ მახე იყო, რომ გაპარვის დრო არა მქონოდა. კანცლერის კარის კაცი გენზა ასი კაცით გარშემორტყმული მოვიდა ჩემთან და მითხრა: „ჩვენ ყველაფერი ვიცით, განზა! მოგვეცი ჩვენ ის ბავშვი, რომელსაც შენს შვილს ეძახი. ეს ყმაწვილი მიუსაია! უსინიდისოვ, შენ გაჰბედე ტოკიზირას მტრის დამალვა! ამ წუთში შესრულე ბრძანება, რომელიც ჩვენ შენთან მოგვაქვს: თუ ორი საათის განმავლობაში მიუსაის თავს არ მოგვიტან, ჩვენ შემოგიკვივით სახლში და იქ ვიპოვით იმის თავსა,—შენ კი დიდი კანცლერის შურისძიება მოგელოდება“-ო. აი იმისი სიტყვები. იმ წყეულ არამზადას საუკეთესო პასუხს მივცემდი ჩემის ხმლით, მაგრამ... საქმე უფრო წახდებოდა და ისევ ხერხს მივმართე. თავი ისე ვაჩვენე, ვითომ სრული მისი მონამორჩილი ვიყავ ყველაფერში. მხოლოდ ვსთხოვე ცოტა ედროვებინა, რომ ეს საქმე სისრულეში მომეყვანა. იმის გვერდით მატსუო იდგა ის ერთად-ერთი ადამიანია სასახლეში, რომელიც მიუსაის იცნობს და კანცლერსაც მიუსაის შესამოწმებლად ის გამოუყოლებია გემბასთვის იმას დაუვიწყნია ის გულუხვი წყალობა, რომლითაც აავსო ძველმა ბატონმა და აი, ახლა უნდა მისი შვილი გასცეს. უპატიოსნო, უსინიდისო ადამიანი! ფეხებს ძლივს დაათრევს, იმდენად დასუსტებულა ავადმყოფობით და ბოროტება და გაყიდვის ძალა კი შესწევს. გამიგონე ახლა, რა უნდა გითხრა, გაქცევა შეუძლებელია. ამიტომ უთუოდ ისეთი ვინმე უნდა ვიშოვო, რომელიც მიუსაის ჰგავდეს, სხვაფრივ იმისი დახსნა შეუძლებელია და აუცილებელი სიკვდილი მოელის. გზაშივე ვფიქრობდი, ერთ-ერთი ჩემი შეგირდი შემეწირა იმისთვის, მაგრამ ვინ ოხერა მიიღებს უბრალო სოფლის ბიჭის სახეს მაღალ კეთილშობილ აზნაურის ნაზს სახედ? ჯოჯოხეთური ტანჯვა მიტრიალებდა გულში და თითქმის სასოწარკვეთილებაშიც ვვარდებოდი, როცა უცბად ჩვენი ახალი შეგირდი დავინახე.

ის ისე ძალიან წააგავს ჩვენს პატარა ბატონს, რომ ვერც კი გაარჩევ ერთმანეთში! ეს სწორედ ზეშთაგონებაა! ღმერთსა ჰნებავთ ჩვენი ბატონი განსაცდელისგან დაიხსნან; იმათ თვითონ იმათ, გაჭირვების დროს მოუგზავნეს მას მოადგილე, რომელიც ამ საქმეში იმის ადგილს დაიჭერს. ბავშვი უნდა მოკვდეს, მისმა ბოროტმა სულმა მოგზავნა ის ჩვენს სახლში და ჩვენს ხელში ჩაავდო. მაგას რომ მოვკლავთ და მაგის თავს კანცლერის გამოგზავნილ კაცს გადავცემთ, მაშინ უნდა გავიქცეთ. უნდა უთუოდ ჩვენი ყმაწვილი ბატონით გავიქცეთ აქედგან საჩქაროდ. თუ ავჩქარდებით, რამდენიმე საათის შემდეგ უკვე სამზღვარ გარედ ვიქმნებით და კავახის მიწაზედ კი ჩვენ დევნას ვერ გაბედავენ.

**ტონამი.** ოჰ, წყეული დრო! ნუ თუ ჩვენ უდანაშაულო სისხლი უნდა დავღვაროთ! დიაღ! ბატონის ერთგულ სამსახურზე წმინდა და სამღვთო არა არის რა, თუნდაც ამის გულისთვის საჭირო იყოს მთელი ქვეყნის მსხვერპლად შეწირვა. მაგრამ განა ეს გვიშველის? თქვენ თითონა სთქვით, მატსუომ უნდა შეამოწმოს იმ თავის სინამდვილე. ის იცნობს ამ კეთილშობილს ბავშვს, იმისი თვალები არ მოსტყუვდებიან, ის შეგვიტყობს ამას და მსხვერპლი ტყუილი იქმნება.

**განზო.** დაე შეიტყოს! დაე გამოაცხადოს ეს თავისს დასაღუპად! მე ყურს ვუგდებ მისი სახის გამომეტყველებას, და თუ რამე შევამჩნიე, ხმლის ერთი დარტყმით გავაგდებინებ თავსა. მერე ვეცემი დანარჩენებს და ან ყველას აქედგან გავრეკავ, ან მეც ჩემს ბატონთან ერთად მოვკვდები, რომ მას საიქიოს დიდს გზაში ერთი ერთგული მოსამსახურე მაინცა ჰყავდეს. მაგრამ მე მაგისი არც იმდენად მეშინიან, რომ მატსუომ ეს გეგმა ჩამიშალოს, რადგან ბავშვები საკვირველად წააგვანან ერთმანეთსა, და თუ ცოცხლებში არის კიდევ მაინც ცოტაოდენი განსხვავება, მკვდარს ეგ განსხვავებაც აღარ ექმნება. მომეტებული ხიფათი ჩვენ დედის მხრივ მოგველის: თუ ის უდროვოდ დაბრუნდა და მოინდომა თავისი შვილის ნახვა, ასტეხავს ერთს ალიაქოთს და ეს ჩვენს გაქცევას ხელს შეუშლის. მაშინ... თუ ის მოვა... ისიც აგურედვე...

**ტონამი.** ისიცა? თქვენ მაშინებთ! თუ ის მოვა, მე იმას ლაპარაკით, ყოველგვარ საშუალებით ვეცდები დავიჭირო, თუ ის...

**განზო.** არა, არა. იქნება იმან იქვე სოფელში უკვე გაიგო, რომ აქ რაღაცა ხდება არა ჩვეულებრივი და უთუოდ მოინდომებს შვილის ნახვას. არა, არა! საფიქრებელი აქ არაფერია, ძალიან ბევრს დავკარგავთ მაგით. კარგია, თუ არ მოვა, და თუ მოვიდა, ველარ წავა. რახან ეს დაწყევლილი საქმე ჩვენ ხვედრია, ჩვენც უნდა ის აღვასრულოთ. ისიც მოკვდება, ეს აუცილებელი მსხვერპლია ჩვენი ბატონის დასახსნელად.

**ტონამი.** რას იზამ! მოვიქცეთ ისე, როგორც ჩვენი მოვალეობა გვეუბნება. (ტირის). ეჰ, საწყალი ბავშვი! უბედური დედა! რად ამოარჩია იმან ეს დღე, რომ თავისი ძვირფასი საუნჯე ჩვენთვის ჩაებარებინა, ოო, ვაი ჩვენ! ჩვენა ვკლავთ მასა, ვინც ბავშვის ცედ მამად უნდა ვყოფილიყავით. საშინელებაა! (ტირის და სახეზედ ხელებს იფარებს. განზო მთლად აღშფოთებული თავისი მტკიცე გადაწყვეტილებით ზის. გარედგან ხმაურობა ისმის. კარს აღებენ. მოსჩანს ეზო).

გ. ნამთრაძე.

(დასასრული იქნება).

სიმღერით კრებულში უკვე შეიპარა) დიდს ზიანს მოუტანს *).

ეს, როგორც პური არსობისა—ისე უნდა ახსოვდეთ.

ამას გარდა საჭიროა ჩაიწეროს ყოველგვარი მელოდიეებით საცეკვაო (სათამაშო) რეჩი ტატიული **) და შაირის აკომპანიმენტი გაპმული და სხვა მელოდიეები მუზიკალიურ ხალხურ ინსტრუმენტებზე, როგორც თარზე, ჩანგურზე, ჭიანურზე, ფანდურზე (ჩვეულებრივი და უენო) დუდუკზე, ზურნაზე და სხვაზე. ესეც ჩვენის ხალხის შემოქმედობისა ერთ უძვირფასეს და ჯერ სრულიად გამოურკვეველ ნაწილს შეადგენს და, სწორედ, ამიტომაც არის საჭირო გადმოღება ყველაფრისა, რაც კი იმღერის და იკვრის ამ საკრავებზე, დიდად საინტერესო მელოდიით დაწყებული და სრულიად უბრალოთი გათავებული. თვით ამ ინსტრუმენტების შეგროვება, მათი ნაშენობის და ჰანგის შესწავლა, აგრეთვე თვით დაკვრის ქცევის (способ игры) გადმოცემა მეტად დასაფასებელია.

ამ კითხვების გარდა ერთი მეტად საყურადღებო, მორიგი საკითხიც არის წამოყენებული. ეს არის—საეკლესიო მუსიკის შესწავლა. უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ დარგში არაფერი გვაქვს გაკეთებული და რაც კი არსებობს მწერლობაში ამის შესახებ, სიმართლე რომ ვსთქვათ, არც ისე ღირსეულია, რამდენადაც წინად ვაფასებდით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა უკვე დაბეჭდილი საგალობლები დაწერილნი არიან იმ საზარელ ტერციით მეორე ხმაში, (ეს ცოდვა ჩემს ლიტურგიაშიაც გახლავთ) და მოწმობენ მხოლოდ იმ გავლენაზე, რომელიც იქონია რუსულმა ძველმა საეკლესიო გალობამ ჩვენ ქალაქელ მგალობლებზე. რუსულ გალობაში მეორე ხმა პირალებით сплошная ტერციაა.

გლეხობა ასე მონურად არ ხმარობს ამ ინტერვალს, რომ იგი მისთვის უხასიათო და შეუთვისებელია იქიდან სჩანს თუ რა ხშირად ურევს იგი (ხალხი) ტერციას სხვა ინტერვალებთან.

ამ საჭიროებათა, თუ გნებავთ მოვალეობათა,—სისრულეში მოსაყვანად საჭიროა:

1) დაარსდეს საზოგადოება, (ან სექცია—საზოგადოებასთან) რომელიც დაგზავნის თავის წევრებს ჩვენის ყველა კუთხეებში. ამ პირებმა უნდა ჩასწერონ და შეაგროვონ ყველა საგალობლები სამს, ორს და ერთ ხმაზედაც კი, მხოლოდ ადგილობრივ იმ პირთაგან, რომელთაც ქალაქელ სიმღერით სმენა შერყვნილი არა აქვთ.

მუშაკთ, რომელთაც ნოტები არ იციან, შეუძლიანთ ამისათვის არავითარი დიდი ცოდნა, არავითარი განსაკუთრებითი უნარი არ უნდა. ყველაფერი მეტათ მარტივი და ადვილია.

მაშასადამე, თუ გვსურს ვეღირსოთ საეკლესიო ხელოვნურ მუსიკას, მოვალენი ვართ მეტად საჩქაროდ მივიღოთ ძირითადი ზომები. დასაჩქარებელია მით, რომ არ დავკარგოთ სიმღერები, რადგან დღეს მათი უკეთესი მცოდნელები ასი წლის მნათე, მედავითნე და სხვა ამნაირი პირნი, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ესალმებიან ამ წუთისოფელს. უნდა ვიცოდეთ, რომ მათ საფლავში ჩასვლით, მათთან ერთად სამარადისოდ მიწა წაეყრებათ იმ ძვირფას ხმებს, რომელნიც შეუქმნიათ ჩვენ მამითა შემოქმედებითს ნიჭს, სარწმუნოების სალაღადებლად, მრავალ საუკუნეთა განმამავლობაში.

ბედშავია და ყველასაგან შეგინებული ის დარაჯი, რომელიც ასეთ მდგომარეობაში, როგორიც ჩვენ, უკეთეს წუთებს ფხიზლად ვერ შეხვდება. მელოდიეები, საზოგადოდ, შეიძლება ძალიან ბევრი შეგვხვდეს და მეტად ნაირ-ნაირნიც იყოს, რადგან საქართველოს თავის ხანგრძლივის არსებობის დროს ბევრი უნდა განეცადნა.

ეს საქმე უფრო ადვილად შესასრულებელი იქნებოდა ქართულ სამღვდელოებისათვის, რადგანაც ამ შემთხვევაში ერთი რომ, საკუთარ ოჯახში გრძნობს თავს, და ნივთიერი საშულებაც ხელს უწყობს, ვიდრე სხვას მეორეც—თვით საქმე მათთვის მეტად მახლობელია. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ედისონის გრამოფონი ხუთიექსი თუმანი ღირს და ვალიკი ორი აბაზი; ამის შემდეგ, ვგონებ, საქმის ხელის მოუკიდებლობა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაითვალოს.

**) გამოშვებულია

*) რასაკვირველია, აქედამ იმის თქმა არ გვინდა რომ მცოდნე თავად-აზნაურობას გვერდი სრულიად უნდა აუხვიოთ.

დ. ა.

ამასობაში დრო კი თავისას შვრება, მცოდნე მოხუცი ხალხი საიქიოსკენ ემგზავრება. მაგალითად, მე ვიცი, რომ ერთი ასეთი მოხუცი ამ მოკლე ხანში გარდაიცვალა და მადლობა უფალს თუ მისი ძმები (უზნაძეები სოფ. სამთავისში, ქართლში) კიდევ ცოცხლები არიან. მაგრამ ისინიც ღრმა მოხუცებაში არიან შესულნი, ცალი ფეხი სამარეში უდგიათ, და მეტად სამწუხაროა თუ ამ დიდ განძს ანდერძად არ დაგვიტოვებენ. ეს პატივცემულნი მოხუცნი დიდი მცოდნენი არიან, როგორც საერო (რამდენიმე მეც მაქვს ჩაწერილი), ისე საეკლესიო სიმღერებისა.

თუ ჩვენთვის ძვირფასია ხამშობლოს აღყვავება, მისი კულტურული აღორძინება, ჩვენ არ დავთმობთ, რომ სამარადისოდ დაიმარხოს საუკუნოებით შექმნილი სალარო ხალხის მუსიკალურ შემოქმედების უნდა ჩაიწეროს ყველაფერი, ყოველნაირი ვარიანტი ერთი და იმავე საგალობლისა არქიმანდრიტ ტარასისა, თუ სოფრონისა იქმნება იგი, თუ გრიგოლ კარბელაშვილისა. შეჩერება არავითარ დაბრკოლების წინაშე არ ივარგებს; მხოლოდ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: სამშობლო ქვეყნის ინტერესი, მისი კულტურა, მისი ფეხზე-წამოდგომა—წელში გამართვა.

დასასრულ უნდა დავუმატო, რომ ეს საქმე რომელიმე კერძო პირის საქმე არ არის, ეს არის საქმე საერთო ჩვენის პატარა ერისა, რომელმაც ჩვენის გონების და ძალის სხვა ძმერასთან—ამასაც უნდა მიაქციოს ყურადღება. დაე, ყველამ, ვინც კი ხელს შეგვიწყობს ამ საქმეში, სიტყვით თუ საქმით, მწერლობაში თუ ისე, იცოდეს, რომ იგი სჩადის ეროვნულ საქმეს, რომლის წინაშე უკან უნდა დაიხაროს ყველა პიროვნულმა ინტერესმა.

ჩემს წერილში მე არ შევხებივარ ქართულ მუზიკალურ საქმის ერთ მორიგ საკითხს. ეს ისეთი მუზიკალურ დაწესებულებას მოწყობაა, სადაც ყველას, ვისაც კი ნიჭი და სურვილი აქვს, შეეძლოს სასურველი ცოდნის მიღება და ამ მხრივ თავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ დაწესებულებამ კარი უნდა გაუღოს ყველა იმ პირთ, რომელთაც ნივთიერად ხელი არ მიუწვდება. ცხრა მთას იქით, რუსეთის ან ევროპის დედა-ქალაქებში ცხოვრებისა. ამას გარდა მომღერალნი ჰშიშობენ, ხმა არ დაჰკარგონ ჰაერის ცვალებადობით.

ყველაფერი ეს ადგილობრივ უნდა მოეწყოს. უნდა გვყავდეს აგრეთვე ჩვენივე მასწავლებლები, რომელნიც თავის სერიოზულის მომზადებით და ცოდნით მოსწავლეთ მტკიცე და საჭირო განათლებას მიაწვდიან.

სამშობლოში აღზრდილი მუსიკოსი სამშობლო ასპარეზზედვე დაიწყებს მუშაობას და ამით აღარ იქნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ ჩვენი ერის პირმშო შვილები სამშობლო სარბიელზე მუშაობის მაგიერ, უცხო ტომთა ასპარეზზე იღვწიან მხოლოდ საქმის ასეთის დაყენებით, მოვიმკით იმას, რაც ჩვენთვის საჭირო და სასარგებლოა.

დასასრულ ნუ დავივიწყებთ რომ თუ ამგვარ რამეს არ მოვაწყვებთ, ჩვენ ვერასოდეს ვერ ვეღირსებით ვერც ჩვენ საკუთარს ორკესტრს ვერ ჩვენ აღმასრულებელთ, რომელთაც ჩვენის აზრით, მომავალში წილად უნდა ჰხვდეთ ქართულ ხელოვნურ მუსიკის მოგვარება, და კომპოზიტორობა. მაშასადამე საფიქრებელი ბევრი გვაქვს. არის სამუშაო, სადაც შეიძლება ოფლი მოიწურონ, თუ ყველამ არა, საკმაო მუშაკთ მაინც.

**დიმიტრი არაყიშვილი.**

## განცხადებანი


### ბრძოლა საქართველოს მოსპობაზე,

ანუ

**ცხოვრება დიდის მოურავის გიორგი სააკაძისა.**

**ანტონ ფურცელაძისა.**

ეს წიგნი პირველად დაიბეჭდა 1892 წ. მეორე გამოცემისათვის ავტორმა წიგნი შეავსო ახალის ისტორიულის და კრიტიკულის წერილით, რაც წიგნის ბოლოში იქნება დაბეჭდილი. წიგნი 500 გვერდზე მეტი იქნება, დიდის ფორმატისაა.

წიგნში იქნება მოთავსებული 20-მდე სურათი XVII საუკ. დიდი მოურავის სურათი, რომელიც რომში იქმნა მოპოვებული პატრის ჟიზეილ თაყარაშვილისაგან. მასთანვე იქმნება სურათები თეიმურაზ პირველის, ლუარსაბის, ქეთევან დედოფლის, ლევან დადიანის, ვახტანგ გურიელის, ათაბაგის, ქართველთ დიპლომატები ევროპაში, ქართველების ჯირითი, იმერთა მეფენი ალექსანდრე და ბაგრატი, ოთხი კათალიკოზი და სხვანი.

რადგანაც ამ წიგნის გამოცემა ძვირად ჯდება, ამიტომ ჯავმართე აქიხთვის ჩელის მოწერა, ვინც წინად შემოიტანს ფულს იმისთვის ის ეღირება ერთი მანეთად. წიგნი დაიბეჭდება კარგს ქაღალდზე, კარგს სტამბაში.

ადრესი: ტფილისი, წერა-კითხვის გამგეობა და ხოსიკო მერკვილაძის მაღაზია. ჩემი ადრესი: მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი N 32. გამომცემელი ზაქარია ჭიჭინაძე 2—254—2)



## საკერავი მაშინა
### ზინგერის კომპანიისა
იყიდება

მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ **1** მანეთიდან

ხელის მაშინები ფასად **25** მანეთიდან

КОМПАНІЯ ЗИНГЕРЪ

მაღაზიის ნიშანი.

უფთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(0—246—2)



ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

## სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
## ძმ. ძეგველოვების
### მაღაზიას

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

### ახალ-ახალი
### ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
### ხიზილალა
ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

### საუკეთესო დოშები და ზურგიელები
### მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან. და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. ზირ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—48)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.



## თევზის მაღაზია
## ს. ა. გუკასოვისა

პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ



ტელეფონი № 395 ტელეფონი № 395

განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი ზუთხი და თართი, ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული.

ფასები სინიდისიერია. პატივისცემით ს. ა. გუკასოვი. (40—33—27)



## პ ა ტ ე ფ ო ნ ი
## ძმათა პატე პარიზში.
### საუკეთესო მოლაპარაკე მანქანა

ნემსების გამოცვლა არა სჭირდება, არა ხრიალებს ფირფიტები, არა ფუჭდება!

### ახალი ამბავი: პატეფონი უერუპორო.

№ 1 ფასი 50 მან. № 3 ფასი 65 მან.




### ფირფიტების დიდი რეპერტუარი ყველა ენებზე

კავკაზიაში ახლად ჩაწერილები. საზოგადოების სათაყვანო ა. მ. დავიდოვის ჩაწერილები.

**ნოემბრის გამოჩენილი ფირფიტები:**

**ა. მ. დავიდოვი.** (არტ. იმპ. მარინის ოპერ.) გიტარ. აკომპ. პროფ. ამირი.
24374 „შემიბრალე“ — ყაჩაღების რომ.
24376 „სიყვარული“ ნეაპოლიტან. რომან.

**დუეტები.** გ. გ. ჩუპრინნიკოვი და ტარსკი (არტ. იმპ. მარინ. ოპერ.)
24355 „დუეტი მეწისქვილისა და თავადის“ —ოპერიდან „რუსალკა“ აკომპ. ორკ. დარგომჟ.
24356 „ფინის დუეტ“ და რუსლანა—ოპერ. „რუსლან. ლიუდმილ. ორკ. აკომპ. (გლინკა)

**მ. ა. ემსკისა.** სათპერ. არტისტ.
27245 „ნატვრა“ აკ. როიალ.
27251 „მიწყნარებ. ზღვასთან. აკ. როიალის.
27246 „თქვენვე მიხვდით“ აკკ. როიალ.
27252 „ერთხელ ტყეში ვსეირნობდი“ როიალ. აკკ.

**ატეს ორკესტრი.**
22957 „შეიდი კაქკაჰი“—გამ. ა. ავაქოვისა.
22972 „შაბათი“ გამ. ა. ავაქოვისა.
22956 „კოლუმბია“ ვალსი.
22968 „გიჟაფხულის დაბრუნება“ გავოტის.
51454 „უნგრეთის მარში“ ოპერ. „სიყვარული“
51459 „ვალსი ოპერ. „ყარაჩის სიყვარული“.

კავკასიის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების იჯარადარი

ერთად-ერთი წარმომადგენელი **კარლ შუმან** ტფილ. გოლოვინის პროსპ.



ფირმა არსებობს 1840 წლ.

### უმაღლეს ხარისხის
### ჩაი
### ბუხკინ
### კუზნეცოვის ამხ.-სა

სავაჭრო ნიშანი

ფირმის წლ. შემოსავალ-გასავალი 50 მილ.

იშოვება ყველგან

### ჩაისა და ყავის ვაჭრობა ნარდად

ტფილისის კანტორა: ველიამინოვის ქ. № 12 ტელეფონ. № 964.

(20—140—5)



## ტანისამოსის მკერავი
## ი. ნ. სვანიძე

ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.

ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკვეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარ-გარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შევიძინე დიდძალი მაუდეულობა. ყველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები

**ჩემის ხელმძღვანელობით**

ყველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილსინდისიერად.

(20—127—18)



### ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები
## მ. ლაღიძისა და ამხ.

მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვენითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მენდლით.

ქარხნები: ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩა. (20—139—17)



### ცენტრალური აზიური ბუფეტი
## პურ-ღვინო

ვორონცოვის მოედანზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

საჭმელები ევროპიული და კავკასიური; ღვინოები კახური საუკეთესო ფირმებისა და სვირული—ბოთლი 25 კაპეიკიდან 1 მანეთამდე; მაგარი სასმელები რუსეთისა და საზღვარ გარეთისა ზომიერ ფასებში; ყოველ-დღე ცოცხალი თევზი; ცალკე კაბინეტები; მოსამსახურენი სუფთა და მკვირცხლი.

**ვაჭრობა ღამის 2 საათამდე**

(20—160—13) ამხანაგობის გამგე არხიპო ჭიჭინაძე.



### გამოცდილი მასწავლებელი

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტეხნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, ამზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც —პ ა ნ ს ი ო ნ შ ი, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლაში მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც).

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. სად. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ ალაგას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავჭალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д. N 133, кв. 4. (въ Нахаловкѣ противъ вокзала). (თ—152—31)



**ხელსაყრელი ფასიანი ქაღალდები**

შემოსავლიანი დიდის მოგებითა და უფასოდ დაზღვევით 5 წლის განმავლობაში, ცნობები უფასოდ იგზავნება.

ფასიან ქაღალდების ხავაჭროჯამზ.

**ბერნარისა და კ.ო,** (პარიზი),

სევასტოპოლის ბულვარი 30—1. მიწერა და მიმართვა შეიძლება რუსულად საზღვარ-გარედ გასაგზავნ წერილების მარკის ფასი ღირს 4 კ., დახურულისა 10 კაპ.

Метцль и К-о 89747. (234 5—2)